

ქუდზე კაცი აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად ნინო შუჭირული: „კატეგორიულად აკრძალულია შინაგარეშე შიშით შუჭირული, სახლში ყველაზე ეფექტიანი მემანიპულირების ღონისძიებებია“

მარი კოკოშვი



გაზაფხულის დადგომის კვლავ გააქტიურდა აზიური ფაროსანა. შესაბამისი უწყება მხოლოდ სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებს შეწამლავს. მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთების მიხედვით თავად მოუწევს. ამიტომაც ბევრი კითხვა გაჩნდა საზოგადო-

ბაში. „წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ძირითადი მიზანია გარემოსადმი ნაკლებად მავნე ტექნოლოგიების გამოყენებით მავნების რაოდენობის შემცირება და კონტროლი, რათა მინიმუმადე იქნას დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება და მისგან გამოწვეული ეკო ზარალი“, – ამბობენ შესაბამის უწყებაში.

როგორ ხდება ამ ყველაფრის განხორციელება ჩვენს რეგიონში? რა საშუალებაა ამ დროისთვის ჩატარებული? რა იგეგმება წლის განმავლობაში? ამ და სხვა საკითხებზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსს,

ნინო შუჭირულს ვესაუბრეთ. „მართის თვიდან უკვე დაიწყო მონიტორინგი, რას გულისხმობს ეს?! გურიის რეგიონში, სამხრეთ-აღმოსავლეთში დაიდა ფერომონტის საჭერები ასე ესწავლოდით როგორ იყო მდგომარეობა ფაროსანას აქტიურობის თვალსაზრისით, რათა დადებული დასკვნა, პირველ რიგში, რომელ სოფლებში უნდა შევსულიყავით შესაწამლად. მანქანები უკვე მზადდებიან იყო. ადგილობრივი მძღოლები შერჩეული, დატრენინგებული, რომლებმაც ვერ ტესტირება, შემდეგ გასაუბრება გაიარეს, ასევე მართვის ტესტ დრაივები, შეისწავლეს ტექნიკა. ამ დროისთვის რაც სოფლებში უკვე დაწყებულია და ამ წუთამდე მიმდინარეობს უშუალოდ შესაწამლეთი საშუალებები. დაიწყო ლანჩ-

უთის მონიტორინგებიდან, სადაც იყო ცხელი წერტილები“.

– როდის დაიწყება წამლობა ოზურგეთსა და ჩოხატაურში?

– ოზურგეთი და ჩოხატაური მონიტორინგის სისტემასა და მოკიდებული. სისტემა არის ასეთი, საჭერზე უნდა დაფიქსირდეს მავნების გარკვეული რაოდენობა. როგორც კი სიგნალი იქნება დაიწყება ლანჩის ელექტრონული სისტემა არის საიტი farosana.ge სადაც არის განთავსებული მონაცემები ცხელი კერების შესახებ. თუ შენგვით აღნიშნულ ვებ-გვერდზე ნახავთ, ლანჩის ცხელი წერტილები წითლად არის მონიშნული. ჩვენი ფიტონატივები ყოველდღიურ რეჟიმში ასორციელებენ მონიტორინგს. როგორც კი ოზურ-

გეთში ან ჩოხატაურში დაფიქსირდება ის რაოდენობა, რომელიც წამლობას საჭიროებს, ჩვენ მზად ვართ საშუალებები დავიწყოთ.

– რამდენი ერთეული ტექნიკა მუშაობს გურიის რეგიონში?

– გვეყავს 18 ერთეული ტექნიკა. 16 სამანქანო და 2 სატრაქტორო დანადგარი. აქედან 7 მანქანა არის ოზურგეთში, 5 ლანჩხუთში და 4 ჩოხატაურში. ამას გარდა, ლანჩხუთში საყენ ფართობების გათვალისწინებით არის 2 ტრაქტორი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს 18-ია და მორჩა. თუკი ჩვენ უფრო მეტი ცხელი წერტილი გვექნება და ეს ტექნიკა ვერ აუვა საჭირო ღონისძიებებს, დავისმართ მეზობელი რეგიონებიდან, თბილისიდან

▶▶▶ **გვ-4**



კოდორი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 18 (10263) 7 მაისი, 2018 წ. შახი 60 თეთრი.

გაზეთი გამომდის
1931 წლის 5 იანვრიდან

„თქვენ რაც ბინდათ, იმას ხედავთ...“



ალეონი. ხმაურიანი გამოდგა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე სხდომა, რომელიც 30 აპრილს გაიმართა. სხდომა ერთი საკითხი „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში მოისმინა, რომელიც მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა წარმოადგინა.

მამაკაიშვილმა ვრცლად ისაუბრა ბიუჯეტის თითოეულ მუხლზე და დარბაზში მყოფ დეპუტატებს მიმართა, რომ მზად იყო ყველა კითხვისთვის გაეცა პასუხი.

ბიუჯეტის მიმართ შენიშვნები ჰქონდათ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დეპუტატებს.

– შიდა აუდიტის სამსახურს აქვს თუ არა შესწავლილი და გავლილი 2017 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში? მას უნდა გადასცემოდა დოკუმენტი და მას უნდა დაედასკვნა – ეს კითხვა დეპუტატმა შალვა თავდიშვილმა დასვა.

ნაციონალ დეპუტატებს შენიშვნები ჰქონდათ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის პროცენტული მაჩვენებლის მიმართ.

სხდომის დარბაზში მას შემდეგ დაიბაბა სიტუაცია, რაც შალვა თავდიშვილმა სოფელ ვუშაში წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისათვის გახარჯული თანხების ხარჯვის მიზნობრივობის შესწავლა მოითხოვა.

– აქ მინიმუმ ნახევარი მილ-

▶▶▶ **გვ-2**

„ნაციონალი“ დეპუტატების განცხადებებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელობა კორუფციაში იხრჩობა

ბესო ქათამაძის თქმით, კორუფციული გზით გაყიდულია მიწები და ამ სქემაში დიდი ალბათობით ჩართულია კარლამენის მაჟორიტარი დეპუტატი ოზურგეთიდან

თეზურ მარშანიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2 მაისის საკრებულოს სხდომა „ნაციონალების“ ერთგვარ ბენეფისად იქცა, თითქმის მთელი სხდომის განმავლობაში სამმა „ნაციონალმა“ დეპუტატმა – ბესო ქათამაძემ, შალვა თავდიშვილმა და დავით მკვათაძემ, თავიანთი ხმადავლილი გამოხატებით, დანარჩენი დეპუტატების ხმა გადაფარეს და, ერთი შეხედვით, საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენეს საკრებულოს ხელმძღვანელობას, საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატებსა და პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ოზურგეთიდან.

სხდომა ვაკანალიას დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-ხუთე საკითხიდან დაემსგავსა, როცა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე ნორმატიული ფასების განსაზღვრას შეუდგნენ. როდესაც მათ საკრებულოს ხელმძღვანელობამ დღის წესრიგის დაცვისა და სხდომაზე გამოსვლის წესის დაცვისაკენ მოუწოდა, სამუელმა ოპონენტებს უკიჟინა, რომ ისინი კორუფციაში არიან ჩართული.

ბესო ქათამაძე: „ურეკის ცენტრში გასხვისებული პრაქტიკულად საფენმავლო ბილიკები, ტროტუარების გასხვისება რა



წესი არის? კორუფციაში ხართ და წყლებს ჩვენ ვარღვევთ?“

დავით მკვათაძე: „დანაშაულს ჩადიხართ, სისხლის სამართლის დანაშაულს, კორუფციულ გარიგებებში ხართ და თქვენ საუბრობთ წესრიგზე?“

ბესო ქათამაძე: „თქვენ, ბატონო დავით, მხოლოდ შრომის სკოლის მიწების გაყიდვაზე მიღებული გადაწყვეტილებით 2 მილიონით აზარალებთ მუნიციპალიტეტს. ბატონო გიორგი, კორუფციაში იხ-

რჩობთ, დასკვნაც დაგიდოთ ანტიკორუფციულმა, მაგრამ რეაგირებას არ ახდენთ... კორუმპირებულმა პირებმა, სანამ „ნაციონალებს“ ახსენებთ პირში წყალი გამოივლით. ასობლებულ-ნათესავებზე ყიდით მიწის ნაკვეთებს... „ნაციონალური მოძრაობის თხოვნა არის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო ამ საკითხის შესწავლა...“

შალვა თავდიშვილი: „გიორგი, შენი ხელი ურევია ამ ყველაფ-

ერში. დაგვალენ არა? შეგამინე ხომ? სხვანაირად ვერ იზამდი, შეგემინდა, თბილი სკამის დატყობის შეგემინდა“.

ბესო ქათამაძე: „ეს არის კორუფციული გზით გაყიდული მიწები. ამ სქემაში დიდი ალბათობით ჩართული არის პარლამენტის დეპუტატი“.

ეს მცირე ნაწილია „ნაციონალი“ დეპუტატების მიერ შემოღნიშნული

▶▶▶ **გვ-3**

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამკლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი,
სამი თვით - 7,20 ლარი,
6 თვით -14,40 ლარი,
ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუღიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

„თქვენ რაც გინდათ, იმას ხელახლო...“

იონი ლარია არამიზნობრივად დახარჯული. ჩვენ ნაციონალიზმი არ მივიღებთ მონაწილეობას, ისე შექმნით ჯუმათის წყლის საკითხის შესასწავლად არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, თქვენი დეპუტატების მონაწილეობით. შეისწავლონ სად დაიხარჯა ამდენი ფული. რას მოხმარდა, რა შედეგი მივიღეთ. წყლის პრობლემა რეალურად მოგვარებული არ არის...
 თავიშვლის ახალგაზრდა დეპუტატი **გერო ჩავლეიშვილი** შეეპასუხა: - ბატონო შალვა, ძალიან კარგია, რომ სოფელ ჯუმათზე ზრუნავთ, მაგრამ არა მგონია, ჩემზე უფრო მეტად გიყვარდეთ ჩემი საკუთარი სოფელი. პატივცემულო, აღნიშნულ პროექტზე არაერთხელ მქონია სოფლის მოსახლეობასთან საუბარი. სოფელს არ ჰყავს არც მერიის წარმომადგენელი და არ თანამშრომელი, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა... წყლის სათავე ნაგებობა სტიქიამ დააზიანა. -არავითარ სტიქიას არ აქვს ამასთან კავშირი. რასაც ახლა ამბობ, იტყუები. წინა მოწვევის საკრებულოს სხდომაზე დაგაყენე ეს საკითხი, რომ პროექტი უხარისხოდ ხორციელდებოდა და დანაშაულს ჰქონდა ადგილი -სიტყვა შეაწყვეტინა ჩავლეიშვილს **დავით მჭავანაძემ**.
 ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიშვილი** თქვა, რომ ეს საკითხი შესწავლილი აქვს სამხარაულის ექსპერტის ბიუროს და დადებითი დასკვნა აქვს დადებული.
 კვლავ თავიშვლის რეაქცია: -სამხარაულის ბიურო სივრცეს და სივრცეს სწავლობს და ის ვერ და-

დებდა დასკვნას, სამუშაოები ხარისხიანად იყო თუ არა შესრულებული, რადგან არ შეუსწავლია. კამათში სხდომაზე დამსწრე კიდევ ერთი დეპუტატი ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“ **ბესო ქათამაძე** ჩაერთო კამათში: -მარიკა, აქ თქმულის გარდა უამრავ დარღვევებზე დაწერილა მედიაში, დგება სახელობითი სიები, კომენტარებს ვაკეთებთ და თქვენ არ მიიქცევთ საჭიროდ ამას მიაქციეთ ყურადღება. უამრავი სფეროა, სადაც არამიზნობრივად იხარჯებოდა თანხები.
 შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა კამათი და ურთიერთბრალდებებზე გადავიდნენ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები და მმართველი პარტიის სამკაცინი ჯგუფი. **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ლურჯუშვილი**: - თქვენ რაც გინდათ, იმას ხელახლო, რაც არ გინდათ ვერა. 2005 წელს შემოქმედის წყლის სათავესაგებობაზე 10 მილიონი ლარი დაიხარჯა, ის მოკითხეთ?
 ამაზე დავით მჭავანაძემ და შალვა თავიშვილი უპასუხეს: -ავგინებთ მერე ამის გამო პასუხი ვინმეს? გამოვძიებთ და მოგვითხოვთ ამაზე პასუხი. ეს რა მიდგომაა, მე თუ გააფრთხილებთ, თქვენც უნდა გააფრთხილოთ? სანგრძლივი კამათის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს - „2017 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის შესრულების შესახებ“ კენჭი უყარეს.
 სხდომაზე დამსწრე 36 დეპუტატიდან საკითხს მხარი არ დაუჭირეს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დავით მჭავანაძემ, ბესო ქათამაძემ, შალვა თავიშვილიმ, დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან მგელაძემ.

დეპუტატი გერი ჩხიკვიშვილი საკრებულოს ეთიკის კოდექსის შემუშავების ინიციატივით გამოდის



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიშვილი** საკრებულოს სხდომაზე ახალი ინიციატივით - საკრებულოს ეთიკის კოდექსის შემუშავების ინიციატივით გამოვიდა.
 -აღნიშნული პროექტი შემუშავების პროცესშია და თითოეულ საკრებულოს წევრს ვთხოვ, ჩართოს ამ პროცესში, ასევე, კარგი იქნება არასამთავრობო სექტორის აქტიურობაც, რათა საკრებულომ ამ კუთხით მიიღოს სრულყოფილი ღონისძიებები. ვფიქრობ, რომ ეთიკის კოდექსი ქმედითი იქნება.
 ადამიანის ქცევას ეთიკის ნორმები განსაზღვრავს, რომელიც საზ-

ოგალობისთვის მისაღები დადგენილი წესების ჩარჩოებშია მოქცეული და მისი დაცვა აუცილებელი პირობაა ყველა მოქალაქისათვის, განსაკუთრებით კი საკრებულოს წევრებისათვის. ეთიკის კოდექსის მიღება დროის მოთხოვნაა, რომლის მიზანია ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე დაკისრებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, დადგინოს საკრებულოს წევრების ქცევის ნორმები, ხელი შეუწყოს საკრებულოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას და საკრებულოს წევრების მიერ, მათზე დაკისრებული მოვალეობების ღირსეულად და კეთილსინდისიერად შესრულებას, - განაცხადა მარიკა ჩხიკვიშვილმა დღეს გამართულ საკრებულოს სხდომაზე.

გურიის რეგიონში 300-ზე მეტი ეტლი დარიგდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სამედიცინო ეტლები გადაეცათ. ეტლები ბენეფიციარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** გადასცა.

„საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ორგანიზაციისთან და გურიის სამხარეო ადმინისტრაციისთან თანამშრომლობით, გურიის რეგიონში უკვე 300 - ზე მეტი ეტლი დარიგდა.

ბახმაროში გზა გაიხსნა



ალიონი. 1 მაისს კურორტ ბახმაროში გზა გაიხსნა. ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ შპს „გზამშენი 18“ უფროსმა თემურ ჯახვამ უთხრა. -გუშინ გზის თოვლით დაფარული მონაკვეთი გაიწმინდა და კურორტზე მსუბუქი ტრანსპორტი ავიდა. კურორტზე ასვლა ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებითაა შესაძლებელი-გვითხრა თემურ ჯახვამ.

საჯარო დისკუსია ღია მმართველობის თემაზე

ალიონი. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საჯარო დისკუსია გაიმართა თემაზე: „ღია მმართველობა-მიღწევები და გამოწვევები.“
 შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო სექტორის და მედიის წარმომადგენლები.
 დისკუსიას უძღვებოდა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი ლანა მორგოშია.
 ღია მმართველობაში საქართველოს მიღწევებზე, პრიორიტეტული მიმართულებების, საქართველოს 2018-2019 წლების სამოქალაქო გეგმის შესახებ ისაუბრეს საიას წარმომადგენელმა სალომე სალარაძემ; მონაც-



ამ თემებზე დისკუსია გაიმართა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სილაურსა და ნასაპირალში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურის ცენტრიდან ოზურგეთი-ნინოშვილი-ღვასას მიმართულებით გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.
 მოასფალტდება 2565 გრძობი მეტრი. სამუშაოებს შპს „ერ ტე დე“ ასრულებს, რომლის ღირებულება 843 510 ლარს შეადგენს.
 ნასაპირალი-მელექელურის გზის მეორე ეტაპის, 1700 გრძობი მეტრის მოასფალტებით სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ჯამური ღირებულება 602 168 ლარს შეადგენს, რომელსაც შპს „პალადა“ ასრულებს. აღნიშნული სამუშაოები დღეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე, **ოსიკო თოთბაძემ** დათვალა.

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია
«ალიონით»

„ნაციონალი“ დეპუტატების განცხადებებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელშეწყობით, კორუფციული გზით გაყიდულია მიწები და ამ სქემაში დიდი ალბათობით ჩართულია კარლამენის გამოჩინებული დეპუტატი ოზურგეთიდან

გვერდითი ქართული თემით, კორუფციული გზით გაყიდულია მიწები და ამ სქემაში დიდი ალბათობით ჩართულია კარლამენის გამოჩინებული დეპუტატი ოზურგეთიდან



ადრესატებისადმი ქალაქის ფრანგულ წყვეტილი ბრალდებებისა. რა თქმა უნდა, იყო საპასუხო რეპლიკები და არგუმენტები, რომელთა მოსმენა „მრავალმხრივ“ არ სურდათ და ყველანაირად შეეცადნენ ჩაენთონ ოპონენტების მხეტი.

საკრებულოში უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის მარია ჩხევიძის თქმით (მას ვუვლით წყალსადენზე სამარაულის ექსპერტიზის დასკვნა მოსთხოვეს), „ნაციონალი“ დეპუტატებს ტელეკამერების წინ თავიანთი გეგმა შესარულებს.

მარია ჩხევიძე: „აგერა, ბატონო, ეს დასკვნა სხვათა შორის, ვისაც კითხვა ჰქონდა, პრობლემა არ იყო და არც ამ საკითხზე კომისიის შექმნა პრობლემა. ახლა თქვენ ძალიან კარგად იცით, ეს ყველაფერი რატომ მიაწვეო. ბატონო თავმჯდომარე, ამით კამერა დანახონ ჩართული, სწორედ ეს უნდათ, პოპულიზმია. დამთავრდა პირდაპირი თემა, უკვე სათანადოდ ვიხილეთ მყარებულმა, დღევანდელი გეგმა შესარული“.

ურეკში შრომის საჯარო სკოლის მიწების გაყიდვის თაობაზე სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს **დავით ჭანჭიჭიანი** დავით მყვანაძემ ჰკითხა: იცოდ თუ არ სოფლის მოსახლეობამ და მასწავლებლებმა ამის შესახებ. – და აუქციონის წესით გაყიდა, კანონის სრული

დაცვით. გაზეთი „ალიონი“ გამოდის და აუქციონის პირობები ერთი თვით ადრე გამოქვეყნდა ამ გაზეთში, – თქვა ჭანჭიჭიანი.

– რამდენი გამოქვეყნდა ჰყავს „ალიონის“? – ჩაეთვალია „ნაციონალი“ დეპუტატს.

– ბერს გამოწერილი აქვს, მე თვითონ ჩამაქვს სოფელში.

ჭანჭიჭიანის პასუხზე მყვანაძემ ცინიკურად ჩაეღიძრა, რაც კარგად ჩანს ვიდეორეგისტრაციაში.

შეიძლება, არც უნდა გამოეფიქრებოდათ ამ რეპლიკას, მაგრამ ვაჭრობით, ბატონო დავითო კარგა ხანია, უბრადად უყურებს ჩვენს გაზეთს, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ქვეყნის მასშტაბით და დღემდე დარსებობს ოზურგეთში მოსახლეობის სამსახურში. არ გვიანდა ნაწილი დაგვიჩვენეს ეს ასაღებოდა კაცი, რომელიც, უკაცრავად და, რაღაცნაირად მყვე ცოხით გამოქვეყნდა დეპუტატის შიშველი ტოვების, მაგრამ არც მთლად უპასუხობა ივარგებს: ბატონო დავითო, ჩვენი მკითხველების რაოდენობა ჩვენი კომპიუტერული საიდუმლოებაა, თუ ძალიან განიტერესებთ, ორმაგად თქვენს „ნაციონალურ“ მხედრობას, შემოგვიჩვენეთ ჩვენი რედაქციის ფანჯარაში, სადაც გაზეთსაც ბლომად დანახავთ და მკითხველსაც. გიორგი ლურჯაშვილის სიტყვებს რა და-

გავიწყობთ, ამავე საკრებულოს სხდომაზე პასუხად რომ გითხრა, მაგრამ მინც შეგასხებო: „სერიოზული კლონი და მსახიობი სარ, დათო. შეურაცხყოფას ვაყენებ ახლა ამ სიტყვებით ცირკის მსახიობებს, მაგრამ სხვა რა უნდა გითხრა. მაგ სიმართლით არც თქვენ, რასაც ახლა საუბრობთ...“

სხდომაზე საკრებულოს ეთიკის კოდექსის შექმნის ინიციატივით გამოვიდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე **მარი ჩხევიძე**. მისი თქმით, „აღნიშნული კოდექსის პროექტი შემუშავების პროცესში და თითოეულ საკრებულოს წევრს ვთხოვ ჩაერთოს ამ პროცესში, ასევე კარგი იქნება არასამთავრობო სექტორის აქტიურობაც, რათა საკრებულომ ამ კუთხით მიიღოს სრულყოფილი დოკუმენტი“.

სოფელ ჯეშისის წყალსადენის ამჟამინდელ მფლობელთაზე სხდომაზე განცხადება გააკეთა შპს „სატისის“ წარმომადგენელმა **დავით ცერცვაძემ**, როგორც მან აღნიშნა, სამუშაოები შესრულებულია პროექტის სრული დაცვით. ანეთსა და ლაშქის უბანში წარმოქმნილი მქეცრის შედეგად დაზიანდა სათავე ნაგებობა, შემკირდა წყლის დებეტი. აღსადგინა სათავე ნაგებობა.

X X X

სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხებიც. მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

დამტკიცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი.

მიიღეს დადგენილება „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“; „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადაცაა ან პირთული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №26 დადგენილებაში „ოზურგეთის მუნიციპალი-

ტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

მიიღეს დადგენილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ.

შხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანაზე დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწესება.

მიიღეს განკარგულება ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხური კლუბი „მერცხლის“ ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელებისა და შპს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხური კლუბი „მერცხლის“ დასაფუძნებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ასევე მიიღეს განკარგულება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარეგისტრაციო უფლებით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

შხარი დაუჭირეს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწესება.

დეპუტატთა თანხმობით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგობის ოქრობების განსაზღვრისა და საშუალო რუხის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

ცვლილებები შეიტანეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 4 აპრილის №26 დადგენილებაში.

გამოჩინებული დეპუტატი

ასკანის ადმინისტრაციული პრემიული – ლევან ნინიძე



ლევან ნინიძე ასკანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატია. მან 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში 272 ხმით გაიმარჯვა.

„ჩემი დაბრუნება წარმომადგენლობით ორგანოში განპირობებულია სოფლისა და თანასოფლელების განსაკუთრებული სიყვარულით, სურვილითა და მიზნით ჩემი პატარა ვეჯილი შევიტანო სოფლის განვითარებაში.“

მასარებს საუბარი იმ მნიშვნელოვან, მასშტაბურ პროექტებზე, რომლებიც გასულ წლებში განხორციელდა.

მოქმედი თანამდებობაზე სტანდარტების წყლის სისტემა. საფილტრე-საქლორატორი სადგური უნიკალურია თავისი სტრუქტურით. მოიხსნა სამი სოფლის: ასკანა, შიანა, მთისპირის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა. მოსახლეობას წყალი 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 1 200 000 ლარს შეადგინა. პროექტი დაფინანსდა რეგიონული განვითარების ფონდიდან. კიდევ ერთი, სოფლისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტი გახლდათ გზის რეაბილიტაცია. ასკანაში 7-კილომეტრიანი საგზაო მონაკვეთის

ასფალტირებული გზა მოეწყო. მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები. ამ ეტაპზე, აღნიშნული სამუშაოები ასკანის ზემო ნაწილში ხორციელდება, თუმცა მთელი სოფლის გაზიფიკაციის პროექტი შემუშავებულია, რაც ნიშნავს რომ სამუშაოები მიიღოს სოფლის მოიცავს.

მოუხედავად იმისა, რომ სოფლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარებულია, ყურადღებას იმ რამდენიმე საკითხზე შეგვიჩვენებ, რაც მიმჩნია რომ ასკანა-შიანაში აუცილებლად შესასრულებელია. ძირითადად ხაზგასასმელი ინფრასტრუქტურული პროექტები. აუცილებელია თემში შემავალი სოფლების შიანა-ასკანას შემკრებელი გზის ასფალტირება. ასევე პირველ ეტაპზე მნიშვნელოვან მიმჩნია სოფელ შიანაში კლუბის რეაბილიტაცია. შინაბა მართლაც უნიკალურია, მისი რეაბილიტაციით რამდენიმე პრობლემა შეიძლება გადაიჭრას. განითავსეს სკოლა, 4 წლიანი, მოქმედი ამბულატორია, ხოლო კლუბმა თავისი ფუნქცია შესარულოს სრული დატვირთვით.

გარე განათება მხოლოდ ცენტრალურ გზას მოიცავს, აუცილებელია სოფლის სხვადასხვა უბანში შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. გასულ წლებში რამდენიმე უბანში, როდესაც მონაკვეთზე მოქმედი ბეტონის საფარი, ეს საკმარისი არ არის, შიდა გზები მოსაწესრიგებელია, მალე უნდა დაიწყოს მოხერხებული სამუშაოებიც.

მე მოკლედ შეგიჩვენებ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, თუმცა პრობლემა სხვადასხვა მიმართულებითაა. სწორედ ამ მიზნით, ჩემი საქმიანობა საკრებულოში სხვადასხვა სფეროს კომისიებში მუშაობას მოიცავს, ეს ნიშნავს საკრებულოსა და აღმასრულებელი ორგანოს წინაშე დაყენებულა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თითოეულ ასკანელს, შიანელს აწუხებს. მნიშვნელოვანი თქვენთან კომუნიკაცია, თქვენი ჩართულობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, პრიორიტეტების სწორად დაგეგმვა, საჭიროებებზე პორეგება. ჩემი მთავარი მიზანია, მუხტი გაკეთებული საქმე, სოფლისა და მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.“

სოფელი თხინვალი – ვალერიან ჩხაიძე



ვალერიან ჩხაიძე 2017 წლის მოწვევის საკრებულოს ერთ-ერთი ასაღებოდა დეპუტატია. სოფელ თხინვალის მოსახლეობამ 310 (67.98%) ხმით აირჩია.

„მივარჩიე ჩემი სოფელი, მტკიცე და მარტოებს მისი ყველა პრობლემა, ის, რამაც მიმდებარა გადაწყვეტილება სოფლის წლიობის მანდატი მომუშაობინა, ასაღებოდა დეპუტატობის, კონკრეტული მიზნების, ამოცანებისა და დიდი სურვილის შედეგად, ჩემი პატარა წვლილი შევიტანო სოფლის წინსვლაში.“

თითოეულმა თხინვალელმა იცის, რა სჭირდება სოფელს, რა არის გასაკეთებელი, რისი მოგვარება მოხერხდება და სათქვენ უნდა მიემართოს ძალისხმევა. ამიტომ თითოეული ჩემი ნაბიჯი განპირობებულია თანასოფლელების აზრებით, ინტერესებით, მათთან უშუალო კომუნიკაციით. საკრებულოში ვმუშაობ დარგობრივ კომისიებში, ფრაქციაში. ეს ნიშნავს ყურადღება გაავამხვილო არა ერთ კონკრეტულ საკითხზე, არამედ სხვადასხვა სფეროზე, ინფრასტრუქტურა, განათლება, სოციალური, ასაღებოდა პროექტები, აგრარული საკითხები... თუმცა პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის განვითარებაა, მათ შორის ჩემს სოფელშიც.

მიმჩნია, რომ სოფლისთვის მთავარი, მოქმედი

გამოწვეული პრობლემაა. მიწები დაზიანდა საცხოვრებელ სახლებში, პრობლემა წარმოქმნა რეაბილიტირებული ცენტრალური გზის გარკვეულ მონაკვეთებზეც. პრობლემატურია შიდა გზები. როდესაც მონაკვეთების გარკვეულ ნაწილზე მოქმედი რკინაბეტონის საფარი, თუმცა ეს საკმარისი არ არის. მოსაწესრიგებელია სოფლის ცენტრი. გასულ წლებში შეკეთდა ადმინისტრაციული შენობა, ამბულატორია. მოხერხდა საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ინვენტარის შექმნა. თუმცა მიმჩნია, რომ ბაღისთვის ალტერნატიული შენობის აშენება არის უზებოები. ასაღებოდა სურვილია სტადიონის რეაბილიტაცია, რათა ხელი შეეწყოს სხვადასხვა სახის სპორტული აქტივობების განვითარებას სოფელში. სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს სკოლა. აღნიშნულზე საქმის კურსშია შესაბამისი სამსახურები.

ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად, სოციალური მიმართულება ყურადღებას იმსახურებს. ეს არის დასაქმების პრობლემა, რომელიც ზოგადად ვერ კიდევ ერთ-ერთ მწკვევ პრობლემას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში. თუმცა ახალი საგადასახადო ინიციატივები, ასევე პროგრამა „წარმოე საქართველოში“, ხელს შეუწყობს მცირე მქარაშენებელ განვითარებულ ბიზნესს, დაასაქმონ ადამიანები. მოგეხსენებათ, ოზურგეთის საკრებულო გამჭვირვალობის, ანგარიშგაღებულებისა და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ პირველია. საკრებულო, მოსახლეობის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მაქსიმალურ ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ახორციელებდა პროექტს საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები სოფლებში. ერთ-ერთი ასეთი სოფელი თხინვალიც გახლდათ, სადაც დღესაც მოქმედებდა შესაბამისი ოთახი ინვენტარით. ჩემთვის, როგორც ამ სოფლის დეპუტატისთვის, საქმიანობის პროცესში დიდი დახმარება იქნება, მოსახლეობამ მაქსიმალურად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა, რათა თხინვალელმა ერთად დავსახოთ ამოცანები, გეგმები, პრობლემათა გადაჭრის გზები და ერთად მივაღწიოთ მნიშვნელოვანი წინსვლა ჩვენს სოფელში.“

ქულზე პაცი აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად

ინო უფირული: „კატეგორიულად აკრძალულია შენობის შიგნით უფაჰვლა, სახლში ყველაზე ეფექტიანი მეთაბიური ღონისძიებებია“



დამატებით ტექნიკას. მობილიზაციას გააკეთებთ იქ, სადაც ამის საჭიროება იქნება. 25 ადგილობრივია დასაქმებული სხვადასხვა დანადგარზე. არის ორგანიზაციები დანადგარზე. ტარდება ნისლით შესხურება და სკალუტით. ხდება ტყისპირებში და არა ტყეში. უშუალოდ ტყეში წამლობა კანონით აკრძალულია. ჩვენ მხოლოდ მოიხიდე და მოკალის პრინციპით ვმუშაობთ. ტყის პირებზე იკიდება ფერომონები, რომელიც მიიზიდავს მწერს. ყოველ კვირამი ლოკალურად იმ ერთ ხეზე ერთ წერტილში ხდება შეწამლევა და არა მთლიანად ტყის მასივს.

— საკარმიდამო ნაკვეთები მესაკუთრებმა თავად უნდა შეწამლონ. არის თუ არა ამისთვის მზად მოსახლეობა?

— თითოეულმა მოქალაქემ თავის საკარმიდამო ნაკვეთს თავად უნდა მოუაროს. გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში 52 000 ბენეფიციარს დაურიგდა ერთი ლიტრი „ინსაკარი“ „ბიფეტრინის“ შემცველი პრეპარატი, რომელიც უშუალოდ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოსაყენებელია. როგორც ვიცი, დღემდე ხდება იმ ნაშთების ათვისება, რაც ჰქონდათ მუნიციპალიტეტებს. კარგი ხარისხის 362 სოლო აპარატები სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გურიის მუნიციპალიტეტებს გადასცა უსასყიდლოდ, რომლებიც გადანაწილდა სოფლებში. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა მზად არის საკარმიდამო ნაკვეთების

წამლობისთვის. აქვს პრეპარატი, სოლო აპარატი და ყველანაირი ინფორმაცია, გამოცდილება, ცოდნა. სოფლებში არიან დატრენინგებული ადამიანები. 725 ადამიანი არის დატრენინგებული გურიის მასშტაბით, რომლებიც შეწამვლით ღონისძიებებს ატარებდნენ სოფლებში. სოლო აპარატებზე იყვნენ დასაქმებული. სახელმწიფოდან იღებდნენ ხელფასს და უსასყიდლოდ ხდებოდა საკარმიდამო ნაკვეთების წამლობა. ვინაიდან 2017 წლის მიწურულს პრეპარატი, აპარატებიც დავეტოვეთ სოფლებში, მოსახლეობას და მუნიციპალიტეტებს მივეცით საშუალება, თავად განახორციელონ ღონისძიებები.

— რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა, როგორ უნდა მოახდინოს წამლობა?

— ვმუშაობდით და ვმუშაობთ ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით. ჩვენ თვითონ ვხვდებოდით მოსახლეობას, ვარიგებდით ბროშურებს. ჩვენთანაც მოდიან დაინტერესებული პირები ვაპსულობთ საინტერესო კითხვებზე. მუშაობს უშუალოდ გურიის ცხელი ხაზი №16006, მოქალაქეს შეუძლია აზიური ფაროსანასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კითხვის გაჩენის შემთხვევაში დარეკოს და მიიღოს კომპეტენტური პასუხი. ასევე არის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური, რომელიც ჩვენთან ერთად მონაწილეობს საინფორმაციო კამპანიაში.

— რა სირთულეებს აწვდებით მუშაობისას? როგორია დამოკიდებულება მოსახლეობის მხრიდან?

— როცა გასულ წელს ჩვენი ფიტო სანიტარები სოფლებში დადიოდნენ, არავინ თხილის წამლობაზე არ საუბრობდა. აგრესიაც კი მოდიოდა მოსახლეობიდან. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ არასწორი ინფორმირებულობის ბრალი. ვისაც არ უნდოდა შარშან შეწამლევა, წელს უკვე მოდის და რეკომენდაციებს იღებს ჩვენგან, განაშარტო აზიური ფაროსანაზე, თხილის სხვა მავნებლებზე, დაავადებებზე. დღეს რომ მიხვიდეთ პესტიციდების მაღაზიაში, რიგი დგას. თუ შეიძლება ამ ამბავში რამე დადებითი იყოს, ისაა რომ დასავლეთ საქართველოში ხალხმა მოწამვლის კულტურა შეიძინა. თხილის შეწამლევა, ნელ-ნელა, წლების განმავლობაში დადებით შედეგს მოგვცემს.

— რა სიფრთხილის დაცვა საჭიროა წამლობისას? მიეცით რეკომენდაციები დაინტერესებულ პირებს.

— განსაკუთრებული, განსხვავებული სიფრთხილე არ მოგვეთხოვება. ეს არის ჩვეულებრივი ქიმიური წამლობა, რომელსაც ატარებენ ციტრუსშიც, ბოსტნულ კულტურაშიც. უნდა დავიცვათ ის ელემენტარული ნორმები, რომელიც ნებისმიერი წამლობის დროს საჭიროა. ეს იქნება ნიღაბი, ხელთათმანი თუ შეწამვლის დრო. შესხურება უნდა მოხდეს დილას ან საღამოს და არა შუადღეზე.

მთავარია უკვე შეწამლულ, ღონისძიებაზე ანატარებულ ფართობზე ლოდინის პერიოდი დავიცვათ სწორად. მინიმუმ 20 დღე არ უნდა შევიდეთ და ნაყოფი არ მივირთვათ. პირუტყვი უნდა დავიცვათ. ჩვენ თუ სწორად ვისწავლით ამ ღონისძიებების განხორციელებას, დამერწმუნეთ ერთი შეკითხვაც არ წამოვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. გასულმა წელმა გვაჩვენა, რომ არავითარი ფუტკრის, საქონლის დანაკარგი არ ყოფილა, მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო, ისიც, შეიძლება ითქვას, რომ დაუდევრობის გამო. ელემენტარული უსაფრთხოების ზომები უნდა დავიცვათ. თვითონ პრე-

პარატს, რომელიც მოსახლეობაში დავარიგეთ, მოყვებოდა ინსტრუქცია, სადაც დეტალურად იყო ქართულ ენაზე ახსნილი, როგორ უნდა მოხმარო, რა დროს უნდა განახორციელოს წამლობა, როგორ დაიცვას პირადი უსაფრთხოება.

— რამდენად საშიშია შენობაში წამლობა, როგორ შეიძლება ვებრძოლოთ მწერს სახლში?

— კატეგორიულად აკრძალულია შენობის შიგნით შეწამლევა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიყენოთ ბუნებაში გამოსაყენებელი პრეპარატი დახურულ სივრცეში. არის ბიოპრეპარატები, რომლებიც გამოუვალ მღვინეობაში შეგვიძლია შენობაშიც გამოვიყენოთ, მაგრამ სახლში ყველაზე კარგი მაინც მექანიკური ღონისძიებებია. შარშან ფერომონიანი საჭურებიც გადავცით მოსახლეობას. წელს პესტიციდების მაღაზიაში იყიდება. შარშან არ იყო ბაზარზე. აღნიშნულ აპარატს კარგი ეფექტი აქვს. რომ არ მოხდეს საკარმიდამო ნაკვეთის მთლიანად შეწამლევა, დაკიდებთ ერთ ლოკაციაზე. ჩვენ მას კამიკაძე ხეს ვეძახით მიიზიდავს მწერს, რომელსაც პერიოდულად შევწამლავთ. შეგვიძლია ის ხე დავიცვათ, ბარიერი გავუკეთოთ, რადგან არ მივიღეს ცხოველი, ფრინველი თუ ადამიანი.

აზიური ფაროსანა 2001 წელს გამოჩნდა ამერიკაში, 2004 წელს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მწერი იკვებება და აზიანებს 300-ზე მეტ სასოფლო-სამეურნეო, დეკორატიულ და ტყის მცენარეს. აქვს რეპროდუქციის მაღალი უნარი. გამრავლების ერთ ჯერზე დაახლოებით 200 შთამომავალს იძლევა და საქართველოს პირობებში მინიმუმ ორჯერ მრავლდება. ძლიერი ინვაზიის დროს მოსავლის 70 პროცენტის დაზიანება შეუძლია. ჩვენს ეკოსისტემაში ჯერჯერობით არ არის იდენტიფიცირებული მავნებლის ბენეფიციური მტერი, რომელიც მის პოპულაციას გააკონტროლებს.

საფაროსანო სკეტი რას გვიქვამის ეპროკელ ქართველებს აზიელი ფაროსანა

ზოგი ჭირი მარგებელი რომ იყო, ვიცი, მაგრამ ზოგი სიცრუეც თუ რაიმე სარგებელს მოიტანდა, ვერ წარმოვადგინა. თუ დამიჯერებთ, მას შემდეგ, რაც „ფრილიმ პუსმა“ თავის ანგარიშში მორიგი გრძელვარს ტყეილი დახვდა, რომ ვასილ მაღლაფერიძემ მეორე არხს დღეა უტარა, რის გამოც პარლამენტის სსდომების ტრანსლირება შეწყდა, ამ დედანატარები არხისათვის თვალის არ მომიშორებია და გეკადრებთ? არხზე საპარლამენტო სხდომების გარდა, სხვა გადაცემები კანტიკუნტად გადის. შეიძლება ითქვას, რომ თუ საბჭოეთის დროს „შირაკა სტრანა მაის“ უმთავრესი საინფორმაციო პროგრამა „უმთავრესი“ მთავარ როლს ლენინდ ილიჩი ასრულებდა, მეორე არხზე ამ როლს ქართველი პარლამენტარები ასახიერებენ მონაცვლეობით.

წინისწინა კვირას აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის განხილვისას, პირდაპირ ეთერში გამართულ დებატში დებუტატებმა ერთმანეთს იმდენი ტყეილ-მართალი დააყარეს, თითქოს ეს ცანა ბობოლი პოლიტიკური ბრძოლის იარაღი და არა პოლიფაგი მწერი. აი, ვინმეს რომ მოეფიქრებია და დარბაზის კარები შეეღო, იქედან გამოვარდნილი ქართული ევროპული ექო, მიუღ იმერეთში თუ არა, ქუთაისში მაინც, მართლაც დღეს უტარებდა დეპუტატების წინააღმდეგ ქვეყანაში უფროსი პარტიის მეთაურულ ამ მასწავ აზიელს, მაგრამ, ჩემი აზრით, ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში ქიმიურ მეთოდზე არანაკლებსაშიშა დავესლილი სიტყვების გამოყენება და რა კარგია, რომ დებუტატები გესლფრტყვივას, გარეთ არ გამოდინან. მოგესწონებათ, ნებისმიერი მავნებლის წინააღმდეგ ყველაზე უსაფრთხო მექანიკური ბრძოლა და ხომ არ აჯობებს ამ ენაგესლიანი ბატონებისათვის (ზოგიერთს ვეკარ სწერია) დოლბანდის პირბადე გავეკეთებინა და თითოეულიათვის ბუზის საკლავი დავგვირგებინა იმ პირობით, რომ გარეთ გამობრძანების შემდეგ, ფაროსანებს დასცხებენ და ერთმანეთს არ აუტყენ ტყაპ-ტყაპს.

ვიცი, ამ მწერს უმურობისათვის ბევრი გამანაწვევლება, მაგრამ მართლა ყელში ამოვიდა ამდენი არაფრისმთქმელი და არაფრისმქმელი „ქოცნაცური“ კინკლაობა და დაკა-დაკა. ვისაც წყენა ოზურგეთში ჩამოსვლამდე არ გაუვლის, შეუძლია, აგერ, ტაძრის ეზოში დაუკეტავი ონკანიდან რომ წყალი მოეღინება, ის მიირთვას. მართალია, დიდად ცივი არ არის, მაგრამ წყენას ნამდვილად აქარწყლებს, განსაკუთრებით პირველის გადარევის შემდეგ.

მაინც რას გვიქვამის ევროპელ თუ გაყვრებულ ქართველებს ეს აზიელი ფაროსანა? კარგს არაფერს, ახლა სათითაოდ ნუ ჩამომათ-ვლევენებთ, თორემ შორს წავალთ. ამიტომ, „კუნჩხ ბედნიერისა“ არ იყოს, მთლად მთავრობის იმედზე ნუ იქნებით. ცხვირი მაინც არ აგეწვათ?! ცოტა გონს მოეგეთ, ნუ გგონიათ, რომ პირველი ევროპელები — ზეზვა და მზია წამოადგებიან და თქვენს მაგივრად შეებრძობლებიან ბიოლოგიურ მტერს. კეთილი ინებეთ და „ბელოტის“ თამაშისგან თითებდაცრეცილი ზედა კიდურები გააქანეთ, საჭიროების შემთხვევაში ქვედაც მაყოფეთ, თუ არ გინდათ, რომ წლეწანდელი წლიდან, მოსავლისა და სარჩო-საბადების სახით, მხოლოდ სამსამოცდაოთხივე გვერდამოხუული კალენდარი შეგჩრეთ ხელში.

თამარ მარშანიშვილი

თვალსაზრისი

მესამედ მოსვლა აღარ იქნება!..

აღბათ, ყველას ახსოვს კრიტიკის რა ქარცეცხლი გაიარა გასული საუკუნის ცნობილმა გამოთქამ — „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“. საოცარი სწორედ ის იყო, რომ ვინც ამ ფრაზას აკრიტიკებდა, სწორედ ის ხალხი დახვდა ელუარდ შევარდნაძის თბილისის აეროპორტში და დაუჩოქეს — თუ გვიშველი, შენ გვიშველი მხოლოდ!..

შევარდნაძეს ვინ ასწავლიდა, მზე საიდან ამოდოდა და სად ჩადოდა, მაგრამ საქმეს რომ დასჭირდა, მზესაც შეუცვალა მიმართულება...

XXX
მაგრამ სულ სხვაა, მეგობრებო, ბიძინა ივანიშვილი. იგი არაა გაპრანჭული კაცი, გაცვეთილ ფრაზებს არ ხმარობს, „გულწრფელ ჩამოაგვირისტებს უცებ, რაც მოუვა თავში“. მაშინ თავისი წასვლით სახურავი მოხადა სახლს და მოგესხენებოთ, უსახურავო სახლში რო-

გორ ინგრევა და ფუჭდება ყველაფერი...

XXX
სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ ნელ-თბილი მთავრობა დარჩა. ნელთბილობა კი სძულს უფალს. გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის ხელისუფლება იყო ან ძალიან ცხელი, ან ძალიან ცივი, ამიტომაც იყო მაშინ ნგრევა და შენება და არაერთ ადგილზე თვლემა და ხრწნილება...

XXX
ივანიშვილის მეორედ მოსვლა მეორედ მოსვლას უნდა ჰკავდეს. არ ვიცი, ხვალ რა იქნება. დღემდე „ქართული ოცნების“ „ნაღვანად“ მხოლოდ მისამლერი დაგვრჩა — „ოცნებებში გახარჯული წლები!“

XXX
უპირველესად, ივანიშვილი უნდა

გამოვიდეს პირადი სიმპათიებიდან და გრძობებიდან. ამგვარი მიდგომით დანიშნა თავის დროზე ღარიბაშვილი, მარგველაშვილი, ნარმანია, კალაძე, კვირიკაშვილი და რა მივიდეთ?..

ახლაც იგივეს იმეორებს, როცა დავით მალრაძეს შესთავაზა პრეზიდენტობა.

XXX
ქვეყანაში უნდა დასრულდეს ყბადღებული პროფესიონალიზმით თავის მოწინება. დღევანდელ მთავრობაში და საჯარო სამსახურებში — ანუ, „ანუს“ წარმოთქმის „პროფესიონალიზმი“ მხოლოდ და არა პროფესიულად საქმის კეთების...

XXX
იცით, რატომ გაუჭირდა ასე ხალხს? ასეთი უქნარა ხელისუფლება და სამსახურები რომ დააწვა მხრებზე...

რომ მაგონდება, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უფრო მეტი ძალა, უფლებები, ავტორიტეტი და საქმე ჰქონდა ქვეყანაში, ვიდრე დღეს აქვს საქართველოს პრეზიდენტს...

XXX
ქვეყანა უნდა დაუბრუნდეს საბრეზიდენტო მმართველობას, ლიდერის პატივისცემას, თორემ ასე, პრეზიდენტის, პრემიერის და პარლამენტის თავმჯდომარის რია-რიაში ვეღარ გაიგო ხალხმა, ვის მოთხოვოს პასუხი...

XXX
მეორედ მოსვლა პირველ მოსვლას არ უნდა დაემსავასოს.

არც ის მგონია, რომ მეორედ მოსვლას ხალხი ხბოს აღტაცებით შეხვდეს...

მესამედ მოსვლა კი აღარ იქნება.

ოლიგო კობალავა-ჩხანიძე

დაფუძნდა სამეგრელო-გურიის თეატრალური საზოგადოება



ფოტოში გაიმართ სამეგრელო-გურიის რეგიონების თეატრების მოღვაწეების - ფოთის, სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის თეატრების შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი გიორგი გეგეჭკორი, ქუთაის-იმერეთის რეგიონის განყოფილების თავმჯდომარე ბატონი ლევან როხვაძე. დაფუძნდა თეატრალური საზოგადოების გურია-სამაგრელოს განყოფილება. განყოფილების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული იქნა ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბატ-

ონი **ვასო ჩიგოვიძე**.

საზოგადოებას ექნება ოთხი წარმომადგენლობა. წარმომადგენლებად დამტკიცდნენ: ფოთში - ბატონი თენგიზ ხუნიას, ზუგდიდში - ბატონი ზურა ეგუტია, სენაკში - ბატონი ირაკლი ადამია, ოზურგეთში - ბატონი ზაზა ჯინჭარაძე.

გამომსვლელებმა ისაუბრეს საზოგადოების ამოცანებსა და როლზე ხელოვნების კონსოლიდაციისა და წახალისების საქმეში, თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და გურია-სამაგრელოს თეატრალური საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ.

გოგისპიტის განვითარების გეგმა განიხილეს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გასულ ორშაბათს კურორტ გომისძის განვითარების გენერალური გეგმის განხილვა მოეწყო.

გეგმა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ფორმა „არტსტუდიის“ არქიტექტორმა **ვაჟა კუხიანიძემ** გააცნო.

- გომისძის აჭარა-გურიის მიუხედავად ნაწილია. აქ იშვიათი გამონაკლისია, როცა მიწები არაა კერძო საკუთრებაში. არის შენობები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით შეიძლება ფასდებოდეს წარმოადგენდეს. გომისძის ახლოსა ზღვასთან და ტურისტთა ინტერესი ალბურთა ზონის კურორტის მიმართ დიდი იქნება. ამიტომ მისი განვითარება ამ გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს - აღნიშნა ვაჟა კუხიანიძემ.

კურორტის განაშენიანების შესახებ თავიანთი მოსაზრება გამოთქმეს არქიტექ-



ტორმა თავის ლომჯარიამ, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ტაშაშვილმა რეკონსტრუქციის პიკეტაჟი.

დაბა ნასაქორალის მაკორიჯარი დეპუტატის ბესო ქათამაძის აზრით კი ძალიან

მნიშვნელოვანია გომისძისა შუახევის მუნიციპალიტეტის კავშირის გამო.

გენგეგმის მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს, ხოლო კონსოლიდაციის სამინისტრო დაამტკიცებს.

გამფუძნებლის აქცია ოზურგეთში

პარასკევს, 4 მაისს, ოზურგეთის ცენტრში გამფუძნებლის აქცია მოეწყო. ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების სერვისცენტრის თანამშრომლებმა გმირთა მოედანზე დეკორატიული ყვავილები დარგეს.



ოსმალები ოზურგეთში

(წერილი მერაბი)



ლიხაურის ციხე

1918 წლის 7 აპრილს ოსმალები ოზურგეთში შემოვიდნენ ლიხაურიდან, ნიაბაურის და ლიხაურის მცხოვრებლები ისე გაძარცვეს და განადგურეს, რომ სარჩო საბადებელი არ დაუტოვეს. საარქივო მასალაზე დაყრდნობით, რომელიც დაცულია ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ვებულობით, რომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოხელის სოფელ ნიაბაურის ომისაგან დაზარალებულ მცხოვრებთათვის სურსათით დახმარების შესახებ. **დაცულია მოწმობა რომელიც გაცემულია ლიხაურის საზოგადოების კომისარ ლ.სალუქვაძის მიერ.**

„მოწმობა ეძლევა ლიხაურის საზოგადოების სოფელ ნიაბაურის მცხოვრებთა რწმუნებულს ბებურ ელისბარის-ბე გორდელაძეს მას შინა, რომ სოფელი ნიაბაური მდებარეობს ბათუმის ოლქის საზღვარს. შეიცავს მცხოვრებთა ას კომლზე მეტს, ვასულ 1918 წელს ოსმალითა ვარის შემოსევის დროს ეს სოფელი სხვებთან შედარებით ძლიერ დაზარალდა და განადგურდა, რის გამო მცხოვრები აღნიშნული სოფლისა განიციდნენ უკიდურეს გასაჭირს ყოველივე მხრივ, განსაკუთრებით კი სურსათის მხრივ, და რომ ის, რწმუნებულნი გორდელაძე მის სურსათის შესახებად მცხოვრებ-

ბათუმის რისთვისაც ლიხაურის სოფლის სამმართველო სთხოვს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს და პირთ რათა აღმოუჩინონ რწმუნებულს სოფელ ნიაბაურისა გორდელაძეს ყოველგვარი კანონიერი დახმარება სურსათის შექნაში. რწმუნებულნი გორდელაძე ვალდებულია ყოველივე შენაძენის თუ ფულის ანგარიში წარუდგინოს ოზურგეთის ერობის გამგებობას, მოწმობა ეძლევა ლიხაურის სოფლის სამმართველოსაგან. აღნიშნული სოფლისათვის საჭიროა სიმინდი საჭმელი 3500 ფუთი და სათესლე 400 ფუთი.“

დაცულია მეორე დოკუმენტიც. ეს არის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის 1919 წლის მოხსენება სოფელ ნიაბაურის ომისაგან დაზარალებულ მცხოვრებთათვის სურსათით დახმარების შესახებ.

მოხსენებაში ნათქვამია: „ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგებობა მიმდინარე წლის 22 მარტის 606-ით ამოწმებს, რომ სოფელი ნიაბაური მდებარეობს ბათუმის ოლქის საზღვარს, შეიცავს მცხოვრებლთა ას კომლზე მეტს, ვასულ 1918 წელს ოსმალითა ვარის შემოსევის დროს, ეს სოფელი სხვებთან შედარებით ძლიერ დაზარალდა და განადგურდა, რის გამოც მცხოვრებნი აღნიშნული სოფლისა

განიციდნენ უკიდურეს გასაჭირს ყოველი მხრივ, განსაკუთრებით კი სურსათის მხრივ. ამისათვის ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგებობა სთხოვს ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს და პირთ, რათა აღმოუჩინონ რწმუნებულს სოფელ ნიაბაურისა გორდელაძეს ყოველგვარი კანონიერი დახმარება სურსათის შექნაში.

მოხსენებას ერთვის ცნობები: 1. ლიხაურის საზოგადოების კომისიის მიერ შემოწმებულ სიის თანახმად ნიაბაურში ირიცხება 101 კომლი. მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს 606 სულს; 2. აღნიშნულ მცხოვრებთა საკვებად ნაანგარიშებია 3500 ფუთი და სათესლად 400 ფუთი სიმინდი.

დასკვნაში წერია: „ომით მიყენებულ ზაღისა და ნიაბაურის მცხოვრებთა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობის გამო მე საჭიროდ ვთვლი მიეცეს ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგებობას აღნიშნულ სოფლის მცხოვრებთა შორის გასანაწილებლად 3500 ფუთი სიმინდი მცხოვრებთა საკვებად და 400 ფუთი სიმინდი სათესლად, იმ პირობით, რომ სიმინდის აღნიშნული რაოდენობა ანაზღაურებულ იქნება მრავალ მოსავლიანი საშუალებით.“

მინისტრი, დირექტორის მაგიერი ვიცე-დეიტორი ოსმალითა თარეშის შემდეგ მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ აგურობს ხმა; წერდა: „ვერ კიდევ 1905 წლის მეფის დამქაშების მიერ აოხრებულ მხარეს სულის მობრუნება ვერ მოასწრო, რომ ბარბაროს ოსმალითა მსხვერპლი შექმნა... თვე-ნახევარი ოსმალითა თარეშში გურიაში მეტად ცუდ სურათს გვიხატავს: სურსათი საკვებით ვაზიდული, მცხოვრებთა ბინები უკიდურესობამდე გატარცულ-გაპარტახებული, მინდვრები დაუთესავი; ერთი სიტყვით, ყოველივე სახსარმოკლებული გურული კაცი იბუღებულა საარსებო წყარო ეძოს, მაგრამ სად? არც სიმინდი, არც

ლობიო, არც ძროხა და არც არაფერი... დაუფიქრდით ახლა თქვენ ასეთ უღმობელ პირობებს და ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რა უსაშინლეს ყოფაში გადაიხიზა დღეს ეს ბედისაგან განწირული ხალხი.“

ვისთან და სად ეძიოს გურულმა კაცმა შეგლა, რით კვებოს წერილი ცოლ-შვილი, რით გაუმკლავდეს საშინელ ხვედრს სიმშლით სიკვდილისა? - აი დღიური კითხვები, რომლებიც სწავს და მოხვეწებს არ აძლევს გურულ გლეხს.

მთავრობამ მიიღო ზომები ხალხის დასაცემყოფილებლად, მაგრამ ეს ცვარია ზღვაში...“

აბა, რა უნდა უქნას კვირაში ერთი გლეხის ოჯახს 2 თუ 3 კვ. ქერმა - ან სიმინდმა?

სხვა გვარი დახმარება ხალხს არ აქვს.

ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში მას კიდევ ასულდგმულებს: „ფოთიდან 5 დაზუნული პარახოთი ქვევილი მუთა“ - იწვევს მის თავის თავს და მშვიდი ელოდება დახმარებას.

არც სასურსათო კომიტეტების გაუქმებამ უშველა ხალხს... ერთი სიტყვით, მდგომარეობა მეტად დამფიქრებელია. სიმშლით ნიადაგზე გადაძვებულ სნეულბა იკიდებს ფეხს და გურულ ხალხს, სწორედ რომ, გადავარება მოელის თუ დროზე არ მივეშველით.“ (გაზეთი „გურიის ხმა“, №3, 14 ივლისი, 1918წ. გვ.3. გაზეთ „ალიონის“ არქივიდან).

ოზურგეთის მოსახლეობის მდგომარეობა ოსმალების შემოსევის მომდევნო წელსაც მძიმე იყო, რაც ოზურგეთის მაზრის პენსიონერთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებისადმი გაგზავნილ მოხსენებიდანაც ჩანს: „ყველა ამ გაჭირვებასთან ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ თათრების ჯარმა წარსულ წელს რომ გურიაში შემოიჭრა და განსაკუთრებით ოზურგეთის ახლო მახლო სოფლებში ყველაფერი ჩვენი სურსათი შთანთქმა და ქონება გაიტაცა, ამით ჩვენი



ბებურ გორდელაძე

გაჭირვებას უფრო დიდი განსაცდელი და მწუხარება ეწვია.“

დღეს ჩვენ იმედში ვართ, რადგანაც საქართველოში ლამაზი გამობრწყინდა, მოგვანიჭა თავისუფლება; დაარსდა დემოკრატიული რესპუბლიკა და მასთან გვეღირსა დამფუძნებელი კრება, ყოველივე უსამართლობა ძირიანად აღმოიფხვრა და მიენიჭა ყველა გაჭირვებულს შეშწნა და მათ შორის ჩვენ პენსიონერებს გრძელუამიერი სამსახურისათვის მოხუცებულობის დროს მოგვეცა შეგლა და მოგვემტა პენსია, რომ სიმშლით არ დავიხლოთ და მომვლელიც და მოსამსახურე გვეყოლოს.

რისთვისაც ამ მოხსენებას უდევთ კეთილ განსახილველად და ჯეროვანის განკარგულების მოსახდენად საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას.

მოხონელი პენსიონერები: ყარამან გრიგოლის ძე ცეცხლაძე; კონსტანტინე გიორგის ძე ლუბაძე; ქვრივი ამაკო იობის ლუბაძის მართა მახარაძის ქალი; ქვრივი პრაპოშიკი მიხაილისაშვილისა კესარია გოგიბერიძის ქალი და სხვები“. (ო.ი.მ.) საქმე №232).

მოამზადა **მანანა ლომაძემ**, ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

ქალაქი ოზურგეთი სატახტო პარლანისკე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-17

რუბრიკას უძღვება მანანა მამარნიშვილი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



1616-1639 წლებს შუა პერიოდში, გურიის სამთავროს ტახტზე ლევან დადიანის მიერ „ხელდასხმულმა“ სიმონ გურიელის ბიძამ, მაღალაქია გურიელმა, რომლის ქონებაც შემდგომ თავად დაპატრონებია ლევან II, ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი შეუწირავს დიდძალი ძვირფასეულობა, რომელთა ღირებულების გამოხატულება ერთობ საძნელოა.

ერთი მურასაბარტყულა, ერთი მურასა სარმუზა, ერთი მურასა ტახტი, ერთი დიდი ნალბაქი ოქროსი ოთხასის ფლურისა, ერთი მძიმე მოჭვდილი კონდაკი, ერთი მძიმედ, ჩარყაფთად შეკერილი სტიხარი, ერთი კარგი ვერცხლის ჯვარსანთელი, ერთი მომარგალიტებული მანარა ოთხის მურასა დილითა, ერთი ოთხთავი, ერთი ძლისპირი, ერთი აბრეშუმის ომფორის ხალიჩა, შეკრული საბეჭური მისის მურასას ჯვარითა, სტიხარი ნახლის, სამკლავები მძიმედ მოთვალ-მომარგალიტებული თორმეტი მუშაბასის დილითა. ერთი მძიმედ შეკერილი ომფორი, სამი მურასას დილითა, ერთი მურასათ ნაქნარი ამბრის ქამარი თერთმეტის ბალთებითა, ერთი მძიმე შეკერილი მოთვალმომარგალიტებული რვა ოქროს რგოლითა, შვიდის მომარგალიტებულის, გომგაროთა, რვის ოქროს დილითა, ერთის დასაკიდებლის ბროლის დილითა, ერთი ნახლი ბისონი მოთვალ-მომარგალიტებული, რვა მურასას დილითა, სამის ბროლის დილითა, ერთი ოქროს ომფორი მძიმედ სირმით შეკერილი მძიმედ მოთვალ-მომარგალიტებული, რვა მურასა დილითა, სამის ბროლის დილითა, ერთი ოქროს ომფორი მძიმედ სირმით

შეკრული, მძიმედ მოთვალ-მომარგალიტებული სამი ოქროს დილითა, სამი ბროლის დილითა, ერთი ოქროს ომფორი მძიმედ სირმით შეკერილი მძიმედ მოთვალ-მომარგალიტებული, რვა მურასა დილითა, სამის ბროლის დილითა,

ერთი ოქროს ომფორი მძიმედ სირმით შეკრული, მძიმედ მოთვალ-მომარგალიტებული სამი ოქროს დილითა, მურასათ ნაქნარი მუშაბასისა, მისი ნაქსოვის ბახჩითა, მისის დახატულის სკივრითა, დილითა მურასათა ნაქნარი მუშაბასისა, მისის ნაქსოვის ბახჩითა, მისის დახატული სკივრითა გაჯიბლიერის ბუდიტა და კლიტითა.

არის მეორე ჯვრიანი ომფორის იარაღი, ერთი მომარგალიტებული ატლასის საბეჭური მისის წუსულის ჯვრითა, ერთი ნახლის სტიხარი, აშია ჩარყაფისა აქეს,

ერთი სტავრის ოლარი, ერთი ოქროს დიდის ბალთითა მურასათა ნაქნარი თხუთმეტი ოქროს დილითა.

ერთი შავის ხავედზედ ნაქნარი მძიმედ მომარგალიტებული ქამარი, აბხინდი და წვერი მურას არის,

ერთი მძიმე სირმით შეკრული მოთვალ-მომარგალიტებული სამკლავე ექვსი ვერცხლის დილითა,

ერთი მძიმედ მოთვალ-მომარგალიტებული ენქერი ოთხის ვერცხლის გრიგოლითა,

ერთი ბისონი სტავრისა მომარგალიტებული თვრამეტის ოქროს მუშაბასის ამბრანის დილითა,

ერთი მძიმედ მოთვალ-მომარგალიტებული ომფორი, 46 ყირმიზი იაგუნდი და ნიშაური ფეროზა არის ზედა და სხვა მრავალი თვალთა და მარგალიტითა ოთხი მურახა ჯვარი აკერია ზედან,

ორი ოქროს დიდი მურასა მუშაბასისა და ერთი საია მისის ნაქსოვისა სახველითა, მისის დახატული სკივრითა და კლიტითა და გარე ჯიბლარის ბუდიტა.

თუ გავითვალისწინებთ, ზემოხსენებულ ცნობებს და წინამდებარე ნუსხებში ჩამოთვლილ ფასეულობათა სიმრავლეს, რომელიც მხოლოდ მცირედდენი ანარეკლია იმხანად გურიის ქვეყანასა და მის სატახტოში - ოზურგეთში დაცული და არსებული ფასეულობებისა, მაშინ არც ჯუღიერი მღვანეზის ცნობა უნდა მოგვეჩვენოს გადაჭარბებულად ძველი ოზურგეთიდან ლევან დადიანის მიერ ერთ მილიონად ღირებულ მალაქია გურიელის საუნჯის გატაცების შესახებ.

ლევან დადიანის მიერ გურია - იმერეთიდან და აფხაზეთიდან გატაცებული საგანძური „ხელმწიფე დადიანის“ სიკვდილის შემდეგ იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1660) დაისაკუთრა.

ორი ძე უშვა ნესტან დარეჯან ჭილაძემ

ლევან დადიანს. ალექსანდრე და მანუჩარ. ალექსანდრე სუსტი იყო და ავადმყოფი. მანუჩარი ძლიერი, ენერგიული, შეუვალი. მთავარი მას ამზადებდა მომავალ მთავრად, მაგრამ ვერ აღისრულა წადილი. 1657 წელს 17 მარტს, დღესა შაბათს, მანუჩარ დადიანი გარდაიცვალა. შვილის კვალს გაუყვა მამაც. გამწარებულმა თავზე ლახტი გადაიკრა და სული განუტევა.

ვახუშტი გადმოგვცემს: „ხოლო ლევან დადიანმან, ვინაიდან არა შეიშინა ღვთისა და სტყუენიდა, აოხრებდა და კლავდა ქრისტიანთა, მისცა სოფელმან ნიჭი და მოკვდა ლევანი დადიანი (წელს 1657-სა 17 მარტს) და დაასვეს ოდიშართა ლიპარიტ დადიანად ძმა ლევანისა ნაშობი ათაბაგის ქალისაგან. ამისმან მსელმენმან მეფემან ალექსანდრემ შემოიკრიბა სპანი იმერთანი და წარვიდა ოდიშს შურის აგებად. ამას ვერ წინ აღუდგა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე ოდისში, მოსწყვიდნა, მოუტყვევნა, მოაოხრა, აღიღო ციხენი. გამოიღო საგანძურნი და ქონებანი ლევან დადიანისანი, შეიპყრა წარჩინებულნი სრულად ოდიშისანი. და დაასხნეინა ვერცხლით ყოველთა თავნი, გამოუხუნა მითვე ძენი მძევლად და დასვა ოდიშს დადიანად ვამიყ, ძე მამია დადიანისა, დათვით დაიპყრა უნავირს აქეთი აღმოსავლეთის კერძი და უნავირას იქითი დასავლეთისა მისცა ვამიყს. მერმე წამოვიდა ნიჭითა, ალაფითა, იავართა დილითა და ტყვეთა და ნატყუევანითა გამდიდრებული მოვიდა ქუთაისს გამარჯვებული

ოზურგეთის კეთილპალატოვან სასახელში დამკვიდრებულმა ვარდანიძემ გურიელებმა 1663 წელს, ლევან დადიანის მოკვდინებიდან, „თავზე ლახტის გადაკვრიდან“, ექვსი წლის შემდგომ შესძლეს ოდიშართა ჯავრის ნაწილობრივ ამოყრა და ზუგდიდის სასახლეში შედევვა.

ვამიყ დადიანის სიკვდილის შემდეგ, რომელიც დალატით იმსხვერპლა „ლენხუმის თავმა ხოსია ლაშვილმა“, ვარდანიძე ძემა სახლის გურიის შტოს აღედგა ლიხთიმერეთის სამეფო ტახტზე მემკვიდრეობის სურვილი. გააქტიურდა დემეტრე გურიელი. დიდძალი ქრთამი უბოძა ხონთქარს. ხონთქარმა ახალციხის ფაშას დაავალა დემეტრე გურიელის სამეფო ტახტზე აყვანა. ფაშამ აღასრულა ხონთქარის ბრძანება. 1663 წელს „იმერეთში მეფედ დასვა დემეტრე გურიელი, ოდიშის მთავარი ლევან III დადიანი გადააყენა და დადიანობაც დემეტრე გურიელს მისცა. ამის შემდეგ დემეტრე იწოდებოდა მეფედ, დადიანად და გურიელად 250.

ამ აქტით, მართალია მცირე ხნით, მაგრამ მაინც „იმერეთა მეფის“ ოდიშის მთავრის - დადიანის და გურიის მთავრის გურიელის ტიტულაურათა პყრობით, დემეტრე გურიელი - შემდგომში“ იმერთაგან თვალდაშრეტილი, გარდაემატა კიდევ ლევან II დადიანს.

ოდიშის მთავართა რეზიდენციის - ზუგ-




სიმონ გურიელი

დიდის, იმერეთის მეფეთა სატახტოს ქუთაისის ხელში ჩასაგდებად ოზურგეთიდან ივლტოდა საკუთარ სიღვრეზე, ვახტანგ V შაჰნავაზის მძისშვილ მზისადარ თამარზე დაქორწინებული გიორგი V გურიელი.

„და იყო კაცი მხნე და შემმართებელი, მშვიდლოსან მოასპარევე რჩეული, უღმერთო მოსისხლე და ტყვიის მსყიდველი უწყალო. ამან მოსრნა მეკობრულად მოსრულნი აფხაზნი გურიას მრავალგზის 251.

1681 წელს გიორგი გურიელმა ხელთ იპყრა იმერეთი და ოზურგეთიდან ტახტი ქუთაისში გადაიტანა. მანვე ცოლად შეირთა ლევან III დადიანის, იმეამად უკვე აღსრულბულის ცოლყოფილი თამარ, რომელიც მისივე სიღვრე იყო. ვახუშტი წერს: ხოლო გიორგი გურიელმა განარისხა დემეტრე განუტევა ცოლი თავისი დარეჯან, ასული ბაგრატ მეფისა, და შეირთო სიღვრე თავისი ცოლად დედოფალი თამარ. ამას ეპყრა იმერეთი და მცდელობდა ოდიშსაცა დაეყრობად“



მანუჩარ გურიელი

ჭაბუკ სპორტსმენთა ტურნირზე



29 აპრილს სოფ შრომაში ჭაბუკ სპორტსმენთა ტურნირი გაიმართა. ტურნირი ამავე სოფლის მკვიდრის, ამაგდარი პედაგოგის,

შუქრი ტულუშის ხსოვნას მიემდგნა, რომლის ძალისხმევითაც სოფელ შრომაში პირველი მოჭიდავეთა გუნდი ჩამოყალიბდა და აღიზარდა.

შეხვედრა დასავლეთ საქართველოს (ბათუმი, ხულო, ზესტაფონი, ქუთაისი,ბაღდათი, სენაკი, ლანჩხუთი, ოზურგეთი) ორი ასაკობრივი ჯგუფის (2005-2007; 2008-2010 წ) გუნდების მონაწილეობით მიმდინარეობდა. ჭაბუკ ფალავანთა ორთაბრძოლებში ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა 23 მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ: გიორგი გორდელაძე(23კგ.) დათო ჩაღუნელი(35 კგ.), ათო მამალაძე(52კგ) და ერეკლე თავებრიძე(26კგ). გამარჯვებული სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის მედლებით, სიგელებითა და და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ტურნირი ჭაბუკ სპორტსმენთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი გაერთიანების ეგიდით გაიმართა.

ზვიად ცეცხლაძის სახელობის ტურნირზე



სოფელ ბახეში ზვიად ცეცხლაძის სახელობის ტრადიციული ტურნირის საფინალო მატჩი მინიფეხბურთში, ბახვისა და თბილისის 35-ე სკოლების ჭაბუკ გუნდთა შორის გაიმართა.მატჩის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დამთავრდა. გამარჯვებული გუნდი საპენალტო სერიებმა გამოავლინა.და იგი თბილისის 35 ე სკოლის საფეხბურთო გუნდი გახდა.მეორე და მესამე ადგილები ბახვისა და აჭარის გუნდებმა დაიკავეს.

ტრადიციული ტურნირი, რომელიც ოზურგეთის მერიის, ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების და ზვიად ცეცხლაძის ვაჟის ვოგოტა ცეცხლაძის ხელშეწყობით ჩატარდა, ასევე ტრადიციული დაჯილდოვების ცერემონიით დასრულდა. გამარჯვებულ გუნდებს მედლები, ფასიანი საჩუქრები და თასები გადაეცათ

ოზურგეთელი მოჭიდავეები ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები გახდნენ




რუსეთის ქალაქ კასპისკში ევროპის 2018 წლის ჩემპიონატი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ოზურგეთელი სპორტსმენებიც იყვნენ.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების წევრებმა 6 მედალი მოიპოვეს – ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

ოზურგეთის ჭიდაობის სკოლის აღზრდილები **დავით ჩხარტიშვილი** (60 კგ) და **თური ლომაძე** (72 კგ) კორეის ფინალში გამარჯვების შემდეგ ევროპის მათთვის სადებიუტო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ.

ვულოცავთ ოზურგეთელ სპორტსმენებს ამ დიდ გამარჯვებას!



ექსტრემალური კაიაკინგის ევროპის ჩემპიონატი უემოქმედში



3-5 მაისს, პირველად საქართველოში, კერძოდ გურიაში, ექსტრემალური კაიაკინგის ევროპის ჩემპიონატი „Bzhuzha Race“-ით გაიმართა. ექსტრემალური კაიაკინგის საერთაშორისო ჩემპიონატი

რომელსაც ევროპის 4 ქვეყანა უმასპინძლებს: საფრანგეთი, იტალია, ნორვეგია და ჩეხეთი.

საქართველოში ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო ევროპის 9

Adidas Outdoor, ExoKayak, Red Bull International, S2S Pro Team და ZetKayaks. აღსანიშნავია, ასევე, რომ წელს პირველად ევროპის ჩემპიონატში ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

zhuzha Race-ი, საქართველოს კაიაკინგის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, ადგილობრივი ხელისუფლების, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და სხვადასხვა ადგილობრივი და უცხოელი სპონსორების მხარდაჭერით შეიქმნა. გასულ წლებში ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებამ, მონაწილეთა და ვიზიტორთა დადებითმა გამოხმაურებამ, სოციალურ მედიაში ფართოდ გავრცელებულმა ფოტოვიდეო მასალამ, მდინარე ბუჟუის უნიკალურმა ტექნიკურმა მონაცემებმა და გამოცემა აყა შესიონ ავაზინე-ში დაბეჭდილმა არაერთმა სტატიამ მიიქცია ევროპის სპორტული წრეების ყურადღება, რაც **Bzhuzha Race**-ისთვის ევროპის ჩემპიონატის სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდა.

ევროპის ჩემპიონატი კაიაკინგში ოფიციალურად 3 მაისს ოფიციალურად გაიხსნა.

ოზურგეთის რკინიგზის ვაგზლის მოედანზე ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალი გაიმართა.

სტუმრებს მიესალმნენ: გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**, ამ ჩემპიონატის საინიციატივო ჯგუფის „გააცოცხლე გურიას“ წარმომადგენელი **იოსებ ერქომაიშვილი**, საქართველოს კაიაკინგის ფედერაციის თავმჯდომარე **კაკი კობიაშვილი**. გაიმართა კონცერტი. 4-5 მაისს ათეულობით სპორტსმენა უჩვენა მდინარე ბუჟუის ხეობაში თავიანთი ოსტატობა.



ალიონი. „Bzhuzha Race“-ი სოფ. შემოქმედის მახლობლად მდებარე მდინარე „ბუჟუა“-ზე 2016 წლიდან იმართება და წელს ოფიციალურად გახდა ექსტრემალური კაიაკინგის ევროპის ჩემპიონატის (EKEC) წევრი. EKEC მოიცავს 5

ქვეყნის (ინგლისი, (ცალკე გუნდი ჰყავდა შოტლანდიას), იტალია, ეგვიპტე, ავსტრია, ჩეხეთი, ლიტვა, უკრაინა, რუსეთი, ბელარუსი) 100-მდე საუკეთესო ათლეტმა, ისეთი ძლიერი გუნდებიდან. როგორცაა:

7 დღის ამინდის პროგნოზი

მცირე წვიმა +13+26 7 მაისი ორშაბათი	ელ-ქვიპი +12+19 8 მაისი სამშაბათი	წვიმა +11+16 9 მაისი ოთხშაბათი	მცირე წვიმა +9+16 10 მაისი ხუთშაბათი	წვიმა +11+16 11 მაისი - პარაკევი	ღრუბელი +7+14 12 მაისი შაბათი	შუბი ღრუბელი +8+15 13 მაისი კვირა
---	---	--------------------------------------	--	--	-------------------------------------	---